გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 2

2024 წლის 12 იანვარი

ქ. გორი

შპს „საპროექტო ორგანიზაცია არქიტექტორი“-ს (ს/კ 217890851) და შპს „მედეა“-ს (ს/კ 217880791) ლიკვიდაციის თაობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას.

შპს „საპროექტო ორგანიზაცია არქიტექტორი“-ს (ს/კ 217890851) და შპს „მედეა“-ს (ს/კ 217880791) ფუნქციონირება გორის მუნიციპალიტეტისთვის აღარ წარმოადგენს საჭიროებას და აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებენ, შესაბამისად, მიზანშეწონილია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს შპს „საპროექტო ორგანიზაცია არქიტექტორი“-ს (ს/კ 217890851) და შპს „მედეა“-ს (ს/კ 217880791) ლიკვიდაცია.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საწარმოს დაშლის წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს შპს „საპროექტო ორგანიზაცია არქიტექტორი“-ს (ს/კ 217890851) და შპს „მედეა“-ს (ს/კ 217880791) ლიკვიდაცია.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**